მე-2 ყოველწლიური შეჯიბრი

იმიტირებული პროცესი
საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში

ქ. თბილისი, საქართველო

1 სექტემბრიდან - 16 ნოემბრამდე, 2014წ.

კაზუსი

ორგანიზატორები:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (“თსუ”) „დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი“, „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის“ (JILEP), “არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველო”

სარჩევი

შესავალი 1

გამოსაყენებელი სამართალი 3

საარბიტრაჟო განაცხადი 4

დანართი #1 7

დანართი #2 8

დანართი #4 11

დანართი #5 12

დანართი #6 13

დანართი #7 14

დანართი #8 15

ჩვენება #1 16

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის/დამოუკიდებლობის დადასტურება 18

პასუხი საარბიტრაჟო განაცხადთან დაკავშირებით 20

ჩვენება #2 22

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის/დამოუკიდებლობის დადასტურება 24

გადაწყვეტილება 26

საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე 26

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის/დამოუკიდებლობის დადასტურება 27

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა 29

შესავალი

წინამდებარე დავაში მოყვანილი სამართლებრივი საკითხები განიხილება საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატის, საქართველოს საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრის („**ცენტრი**“) საარბიტრაჟო წესების ("**საარბიტრაჟო წესები**“) შესაბამისად.

წინამდებარე დავის მიზნებისათვის, იგულისხმება, რომ მოსარჩელე მხარემ საარბიტრაჟო საქმის დაწყებასთან ერთად გადაიხადა შესაბამისი მოსაკრებელი და დანიშნა არბიტრი, საარბიტრაჟო წესების მე-13 მუხლის შესაბამისად. ცენტრმა მიიღო საარბიტრაჟო სარჩელი 2014 წლის 1 სექტემბერს. მოპასუხემ წარადგინა პასუხი საარბიტრაჟო განაცხადზე საარბიტრაჟო წესების შესაბამისად და დანიშნა არბიტრი. მხარეთა მიერ დანიშნულმა არბიტრებმა ასევე დანიშნეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე საარბიტრაჟო წესების შესაბამისად.

საქმის მასალები მოიცავს:

1. საარბიტრაჟო სარჩელს;
2. სარჩელში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების მტკიცებულებებს;
3. მოწმეთა ჩვენებებს;
4. საარბიტრაჟო შესაგებელს; და
5. საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ საპროცესო დოკუმენტებს.

ამ დოკუმენტში მოცემული ფაქტები ამომწურავია. ინფორმაცია, რომელიც არ არის წარმოდგენილი საქმეში, არ არის რელევანტური საქმესთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების შესწავლისათვის.

გაითვალისწინეთ, რომ მხარეების წარმომადგენლებს მიეცემათ საშუალება კითხვებით მიმართონ ცენტრს 2014 წლის 28 სექტემბრამდე გარკვეული ფაქტების დაზუსტების მიზნით. ცენტრი გამოაქვეყნებს კითხვებზე პასუხებს თავისი შეხედულებისამებრ 2014 წლის 29 სექტემბერს.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში მრავალი სამართლებრივი საკითხია, 2014 წლის 15-16 ნოემბერს ჩანიშნული საარბიტრაჟო განხილვა შეეხება მხოლოდ შემდეგ საკითხებს:

1. აქვს თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს დავის განხილვისათვის საჭირო იურისდიქცია?
2. დადეს თუ არა მხარეებმა სავალდებულო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება ღვინის ნასყიდობასთან დაკავშირებით?

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ საქმეში მოცემული ნებისმიერი ფაქტი აღნიშნულ საკითხებზე არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში, თქვენ არ უნდა დააყენოთ მოთხოვნები ზიანის ანაზღაურებასთან ან მოთხოვნილი თანხის გონივრულობასთან დაკავშირებით.

გამოსაყენებელი სამართალი

საქართველოს კანონი "არბიტრაჟის შესახებ" მიღებულია UNCITRAL-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია) „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელური კანონის" შესაბამისად (მე-7 მუხლი, ვარიანტი I).

საქართველო, ისევე როგორც საფრანგეთი, არის გაეროს 1980 წლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ კონვენციის მხარე და 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის მხარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ.

2013 წლის 1 იანვარს, საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ფრენშაიზინგის და დისტრიბუციის ხელშეკრულებები უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, ფორმადაუცველად დადებული ხელშეკრულება არ არის ნამდვილი და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. საქართველოს სამართალში არ არის მსგავსი ჩანაწერი.

დავა განიხილება საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატის, საქართველოს საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ცენტრის საარბიტრაჟო საბჭო საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარის კანდიდატურის დადასტურებისას, ხელმძღვანელობს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსით.

საარბიტრაჟო განაცხადი

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი

შპს „ღვინის მარანი“
/„მოსარჩელე“/

შპს „ფრანს“-ის
/„მოპასუხე“/

წინააღმდეგ

წინამდებარე განაცხადით, შპს „ღვინის მარანი“ მიმართავს ცენტრს შპს „ფრანს“-ის წინააღმდეგ საქმის დაწყების მიზნით. დავა განიხილება საარბიტრაჟო წესების შესაბამისად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

I. <u>მხარეები</u>

1. შპს „ღვინის მარანი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდით 0909. მისი იურიდიული მისამართია ჭკუასელის ქუჩა #26, ქ. თელავი 0102, საქართველო. შპს „ღვინის მარანი“ არის ღვინის მწარმოებელი კომპანია. იგი ახორციელებს ღვინის ექსპორტს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

2. შპს „ფრანსი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებული საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდით 010405. მისი იურიდიული მისამართია, სესილის გამზირი #5, ევიან ლე ბენი, საფრანგეთი. იგი ახორციელებს ღვინის იმპორტსა და დისტრიბუციას საფრანგეთში.

II. <u>ფაქტობრივი გარემოებები</u>

3. 2014 წლის იანვარში, მოსარჩელე და მოპასუხე მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საფრანგეთში ღვინის დისტრიბუციის შესახებ („**დისტრიბუციის ხელშეკრულება**“).

4. დისტრიბუციის ხელშეკრულების შესაბამისად, მოპასუხე განისაზღვრა მოსარჩელის მიერ წარმოებული ღვინის ექსკლუზიურ დისტრიბუტორად საფრანგეთში.

5. 2014 წლის იანვარში, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ასევე გაფორმდა ხელშეკრულება ღვინის ნასყიდობის შესახებ („**ნასყიდობის ხელშეკრულება**"), მოსარჩელის ოფერტის პირობების შესაბამისად (*იხილეთ დანართი #1 და დანართი #2*) („დისტრიბუციის ხელშეკრულება" და „ნასყიდობის ხელშეკრულება", ერთობლივად „**ხელშეკრულებები**").

6. 2014 წლის თებერვალში, მოპასუხემ დაარღვია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებები, კერძოდ:

   - მოპასუხემ არ გადაიხადა ავანსი, ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; და

   - მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

III. <u>საარბიტრაჟო შეთანხმება</u>

7. ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს მხოლოდ არბიტრაჟს, როგორც დავების მოგვარების საშუალებას:

8. *„ნებისმიერი დავა ან მოთხოვნა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულებიდან ან მისგან გამომდინარე, მათ შორის, ხელშეკრულების დადების, ნამდვილობის, დარღვევის ან შეწყვეტის საკითხები, გადაწყდება არბიტრაჟის მეშვეობით საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად."*

9. *„არბიტრების რაოდენობა იქნება 3 (სამი); საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იქნება ქ. თბილისი, საქართველო; საარბიტრაჟო წარმოება გაიმართება ქართულ ენაზე."*

IV. <u>სამართლებრივი საკითხები</u>

10. მოსარჩელე აცხადებს, რომ:

    - საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს იურისდიქცია განიხილოს დავა.

- 2014 წლის იანვარში მოსარჩელემ და მოპასუხემ გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება ღვინის ნასყიდობასთან დაკავშირებით.

- მოპასუხემ დაარღვია მოსარჩელესთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და უნდა აუნაზღაუროს მოსარჩელეს დამდგარი ზიანი.

V. <u>მოთხოვნები</u>

11. მოსარჩელე ითხოვს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

    - ტრიბუნალს აქვს დავის განხილვისათვის საჭირო იურისდიქცია;

    - მოპასუხემ გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება მოსარჩელესთან; და

    - მოპასუხემ დაარღვია ნასყიდობის ხელშეკრულება მოსარჩელესთან.

12. შესაბამისად, მოსარჩელე სთხოვს ტრიბუნალს დააკისროს მოპასუხეს:

    - 10,000 (ათი ათასი) ევროს გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, ასევე მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე; და

    - საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები.

13. მოსარჩელე, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დადგენილ ვადაში, წარმოადგენს საარბიტრაჟო სარჩელს.

დანართი #1

შპს „ღვინის მარანი“

14 იანვარი 2014

გაგზავნილია ფაქსით და ელ. ფოსტით

ადრესატი: ფრანსუა ტერსენი
მენეჯერი
შპს „ფრანსი“

ძვირფასო ფრანსუა,

ძალიან გამიხარდა თქვენთან შეხვედრა სიღნაღში გამართულ ღვინის ფესტივალზე გასულ კვირას. როგორც მოგახსენეთ, შპს „ღვინის მარანი“ ეძებს ექსკლუზიურ დისტრიბუტორს საფრანგეთში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ შპს „ფრანსი“ იდეალური კანდიდატია. იმედი მაქვს, რომ თქვენ უკვე ესაუბრეთ თქვენს მენეჯმენტს ჩვენს შეთავაზებაზე.

ჩვენ გავეცანით საფრანგეთის ღვინის ბაზარზე მოქმედ დისტრიბუტორებს ღვინის ფესტივალის განმავლობაში. ამ ეტაპზე, ჩვენთან თანამშრომლობით დაინტერესებულია რამდენიმე კომპანია. ისინი უახლოეს მომავალში ელოდებიან ჩვენს შეთავაზებას. შესაბამისად, ჩვენ გვსურს სწრაფად გადავწყვიტოთ შპს „ფრანს“-თან თანამშრომლობის საკითხი.

ჩვენი მოლაპარაკებების დაჩქარების მიზნით, დანართად გიგზავნით ანგარიშ-ფაქტურას, ე.წ. პროფორმა ინვოისს, რომელშიც წარმოდგენილია ღვინის პირველი შეკვეთის ფასი. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია მოვილაპარაკოთ თანხაზე თქვენთვის მოსახერხებელ დროს. ინვოისის მიზანია, დაახლოებითი ფასის განსაზღვრა პირველი შეკვეთისათვის. თუმცა, თუ თქვენთვის მისაღები იქნება პირობები, უბრალოდ მოაწერეთ ხელი ინვოისს და დაგვიბრუნეთ. ჩვენც დავიწყებთ შეკვეთის მომზადებას.

ველით თქვენს პასუხს და იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენს შორის შედგება გრძელვადიანი და წარმატებული თანამშრომლობა.

საუკეთესო სურვილებით,
გიორგი ღვინიაშვილი

დანართი #2

[წინამდებარე მტკიცებულება წარმოადგენს პროფორმა ინვოისს. ქვემოთ მოცემულია ინვოისის მხოლოდ მნიშვნელოვანი ნაწილები. გარდა ქვემოთ მოცემული ინფორმაციისა, დოკუმენტი მოიცავდა დეტალებს პროდუქციის ხარისხზე, რაოდენობაზე და ფასზე. ინვოისი არ აკეთებს მითითებას დისტრიბუციის შესახებ ხელშეკრულებაზე, როგორც გენერალურ ან ჩარჩო ხელშეკრულებაზე.]

[. . .]

მუხლი 6

ღვინის პირველი შეკვეთის მიწოდება უნდა მოხდეს ევიან ლე ბანში, საფრანგეთი, წინამდებარე დოკუმენტის ხელმოწერიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში.

მუხლი 7

ღვინის პირველი შეკვეთის ფასის გადახდა უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილ. პირველი გადახდა უნდა განხორციელდეს ავანსის სახით, წინასწარ, წინამდებარე დოკუმენტის ხელმოწერიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

[. . .]

მუხლი 20

ნებისმიერი დავა ან მოთხოვნა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულებიდან ან მისგან გამომდინარე, მათ შორის, ხელშეკრულების დადების, ნამდვილობის, დარღვევის ან შეწყვეტის საკითხები, გადაწყდება არბიტრაჟის მეშვეობით საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად.

არბიტრების რაოდენობა იქნება 3 (სამი); საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იქნება ქ. თბილისი, საქართველო; საარბიტრაჟო წარმოება გაიმართება ქართულ ენაზე.

დანართი #3

შპს „ღვინის მარანი“

15 იანვარი 2014

გაგზავნილია ფაქსით და ელ. ფოსტით

ადრესატი: ფრანსუა ტერსენი
მენეჯერი
შპს „ფრანსი“

ძვირფასო ფრანსუა,

დიდი მადლობა სწრაფი პასუხისთვის. მოხარული ვარ, რომ შპს „ფრანსი“ თანახმაა იყოს ჩვენი ახალი დისტრიბუტორი საფრანგეთის ბაზარზე. როგორც გუშინ სატელეფონო საუბრისას განვიხილეთ, მე ვესაუბრე ჩვენს გენერალურ დირექტორსა და ფინანსურ დირექტორს პირველი შეკვეთის ღირებულებაზე 30%-იანი ფასდაკლების გავრცელებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ვერ შემოგთავაზებთ ასეთ ფასდაკლებას, ჩვენ გვაქვს ალტერნატიული შემოთავაზება, რომელიც ჩემი აზრით მისაღები უნდა იყოს თქვენთვის.

როგორც მე გავიგე ჩვენი გუშინდელი საუბრიდან, თქვენ შიშობთ, რამდენად ღირს ასეთი რაოდენობის პროდუქციის შეტანა საფრანგეთში, ღვინის ქვეყანაში, სადაც მაღალი კონკურენციაა. თუმცა ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ჩვენი ღვინის ხარისხსა და მისი დამზადების ტრადიციის უნიკალურობაში. შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეკვეთის რაოდენობა მისაღებია.

ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ და დავგეგმოთ ქართული ღვინის საფრანგეთში პოპულარიზაციისათვის საჭირო კამპანია. ჩვენი სურვილია თქვენთან ერთად დავგეგმოთ საფრანგეთის ბაზრის კვლევა მომავალი თვის განმავლობაში. ბაზრის კვლევის შემდეგ შეგვიძლია შევთანხმდეთ რეკლამირების ყველაზე ეფექტურ საშუალებაზე და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, განვსაზღვროთ შეკვეთის ფასი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ ორივე კომპანიისათვის მისაღებ პირობებზე შეთანხმებას.

გთხოვთ, რაც შეიძლება მალე მაცნობოთ თქვენი მოსაზრება ჩვენს შემოთავაზებაზე.

საუკეთესო სურვილებით,

გიორგი ღვინიაშვილი

დანართი #4

შპს „ღვინის მარანი“

18 იანვარი 2014

გაგზავნილია ფაქსით და ელ. ფოსტით

ადრესატი: ფრანსუა ტერსენი
მენეჯერი
შპს „ფრანსი“

ძვირფასო ფრანსუა,

ჩემთვის სასიხარულო იყო დღეს თქვენთან საუბარი ჩვენს სამომავლო ბიზნეს ურთიერთობაზე. მოხარული ვარ, რომ თანხმობა განაცხადეთ ჩვენს შეთავაზებაზე ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით. ასევე მესმის თქვენს მიერ დასმული საკითხის მნიშვნელობა, პროდუქციის შემოწმების და პრეტენზიების წარდგენის დროსთან დაკავშირებით. თუმცა შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი პროდუქცია იშვიათად ხასიათდება ნაკლით და ჩვენ ლიბერალურად ვუდგებით ჩვენი მუდმივი კლიენტებისგან პროდუქციის უკან დაბრუნების ფაქტებს.

ასევე ჩვენი დღევანდელი საუბრის საფუძველზე, მე შევატყობინებ ყველა ჩვენთან თანამშრომლობით დაინტერესებულ დისტრიბუტორს, რომ ჩვენ უკვე შევარჩიეთ დისტრიბუტორი საფრანგეთში და რომ მათ სხვა პარტნიორები უნდა მოძებნონ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე მინდა დროულად შევატყობინო მათ უარის შესახებ, რადგან შპს „ღვინის მარანი“ ძალიან უფრთხილდება თავის რეპუტაციას.

გთხოვთ, შემატყობინოთ როგორ გსურთ ბაზრის კვლევის დაგეგმვა. ასევე გვინდა ვიცოდეთ, როდის განახორციელებთ ავანსის გადახდას.

თუ გაქვთ რაიმე კითხვა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მოგვწერეთ.

საუკეთესო სურვილებით,
გიორგი ღვინიაშვილი

დანართი #5

შპს „ღვინის მარანი“

5 თებერვალი 2014

გაგზავნილია ფაქსით და ელ. ფოსტით

ადრესატი: ფრანსუა ტერსენი
მენეჯერი
შპს „ფრანსი“

ძვირფასო ფრანსუა,

მე არ მიმიღია თქვენგან ავანსის გადარიცხვის შესახებ შეტყობინება, ჩვენი შეთანხმების შესაბამისად. ასევე, არ მიმიღია თქვენგან ცნობები ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, მოგვწეროთ ამ მეტად საჩქარო საკითხებზე.

საუკეთესო სურვილებით,
გიორგი ღვინიაშვილი

დანართი #6

შპს „ფრანსი“

5 თებერვალი 2014

გაგზავნილია ფაქსით და ელ. ფოსტით

ადრესატი: გიორგი ღვინიაშვილი
მენეჯერი
შპს „ღვინის მარანი“

ძვირფასო გიორგი,

ვწუხვარ შეგატყობინოთ, რომ ჩვენი კომპანია ვერ განახორციელებს თქვენი ღვინის დისტრიბუციას საფრანგეთში. კომპანია რთულ ფინანსურ მდგომარეობაშია და შესაბამისად, ამ ეტაპზე ახალი პროდუქციის შეტანას მოერიდება ბაზარზე.

როგორც მოგეხსენებათ, შპს „ფრანსი“ წარმოადგენს კომპანიების ჯგუფის ნაწილს, რომელიც ასევე მოიცავს დიდ კომპანიებს უკრაინაში. უკრაინაში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, ჩვენი ბიზნესი სავალალო მდგომარეობაშია.

შესაბამისად, ჩვენ უარს ვამბობთ თქვენს ოფერტზე ვიყოთ ექსკლუზიური დისტრიბუტორები საფრანგეთში.

იმედი მაქვს, რომ ოდესმე მოგვეცემა ერთად მუშაობის შესაძლებლობა.

საუკეთესო სურვილებით,
ფრანსუა ტერსენი

დანართი #7

შპს „ღვინის მარანი“

5 თებერვალი 2014

გაგზავნილია ფაქსით და ელ. ფოსტით

ადრესატი: ფრანსუა ტერსენი
მენეჯერი
შპს „ფრანსი“

ძვირფასო ფრანსუა,

ძალიან სამწუხაროა რომ თქვენ უარი განაცხადეთ თქვენი ვალდებულებების შესრულებაზე.

აღნიშნული უპასუხისმგებლო გადაწყვეტილების გამო, ჩვენ იძულებულნი ვართ თავიდან დავიწყოთ დისტრიბუტორის ძებნა. შესაბამისად, ჩვენ მოგვიწევს, როგორც მინიმუმ, ერთი სეზონის გაყიდვების გამოტოვება. ჩვენ ძალიან ბევრი ძალისხმევა დავხარჯეთ ღვინის ფესტივალზე დისტრიბუტორის შერჩევაში. უფრო მეტიც, თქვენ უკვე განაცხადეთ თანხმობა ღვინის პირველი შეკვეთის შეძენაზე და შემდგომ დისტრიბუციაზე. თქვენ პასუხისმგებელი ხართ თქვენი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, ჩვენთვის მიყენებულ ზიანზე.

ვშიშობ, რომ მომავალში თქვენ მხოლოდ ჩვენს იურისტებთან მოგეცემათ ურთიერთობის შესაძლებლობა.

იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილი,
გიორგი ღვინიაშვილი

დანართი #8

შპს „ღვინის მარანი“

6 თებერვალი 2014

გაგზავნილია ფაქსით და ელ. ფოსტით

ადრესატი: გიორგი ღვინიაშვილი
მენეჯერი
შპს „ღვინის მარანი“

ძვირფასო გიორგი,

ნება მომეცით არ დაგეთანხმოთ თქვენს მიერ არსებული მდგომარეობის შეფასებაში. ჩვენ არ განგვიცხადებია თანხმობა თქვენი პროდუქციის შეძენაზე. ჩვენ ფასზეც კი არ ვართ შეთანხმებულნი. გარდა ამისა, ჩემი კომპანია არასოდეს არ აიღებდა თავის თავზე ასეთ ვალდებულებას, დისტრიბუციის ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

ძალიან ვწუხვარ რომ ჩვენი თანამშრომლობა არ შედგა. ვფიქრობ, იურისტების საქმეში ჩარევა კიდევ უფრო გაართულებს ყველაფერს. ჯობია ყველაფერი დაივიწყოთ და ბიზნესს მიხედოთ. მეც ამასვე ვაპირებ.

თუ საფრანგეთში მოხვდებით, შემეხმიანეთ.

პატივისცემით,

ფრანსუა

ჩვენება #1

გიორგი ღვინიაშვილი

მე, გიორგი ღვინიაშვილი, ვმუშაობ მენეჯერად შპს „ღვინის მარანში“. წინამდებარე ჩვენებაში მოცემული ინფორმაცია შპს „ფრანს“-თან დაკავშირებით სიმართლეა და თითოეული სიტყვა შეესაბამება რეალობას. მე დეტალურად აღვწერ 2014 წლის იანვარსა და თებერვალში ჩვენს შორის გამართულ მოლაპარაკებებს.

2014 წლის 11-12 იანვარს მე დავესწარი ღვინის ფესტივალს სიღნაღში. სწორედ ფესტივალზე გავიცანი შპს „ფრანს“-ის მენეჯერი, ფრანსუა ტერსენი, რასაც ახლა ძალიან ვნანობ. როგორც ფრანსუამ განაცხადა, მისი კომპანია დაინტერესებული იყო განევითარებინა ურთიერთობა ქართულ ღვინის მწარმოებელ კომპანიასთან. მე ვუთხარი მას, რომ შპს „ღვინის მარანი“ დაინტერესებული იყო განეხორციელებინა ღვინის ექსპორტი საფრანგეთში და ეძებდა ექსკლუზიურ დისტრიბუტორს საფრანგეთის ბაზრისთვის. ჩვენ დეტალურად განვიხილეთ თანამშრომლობის პირობები. აშკარა იყო, რომ ფრანსუა აღფრთოვანებული იყო ჩვენი საუბრით. თუმცა მან თქვა, რომ თანამშრომლობის პირობები აუცილებლად უნდა შეეთანხმებინა შპს “ფრანს”-ის მენეჯმენტთან. როგორც მან მითხრა, დეტალებს საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ შეათანხმებდა. მე მას ვუთხარი, რომ სხვა დაინტერესებულ დისტრიბუტორებთანაც მქონდა საუბარი. ფრანსუამ მთხოვა არ მიმეღო გადაწყვეტილება, მანამ სანამ მისგან არ შევიტყობდი საბოლოო პასუხს. მეც დავპირდი, რომ აუცილებლად დავუკავშირდებოდი გადაწყვეტილების მიღებამდე.

მე მივწერე ფრანსუას 2014 წლის 14 იანვარს და გავუგზავნე მას პროფორმა ინვოისი, ნეტავ არ გამეგზავნა.

ფაქსის გაგზავნიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ბატონი ფრანსუა დამიკავშირდა ტელეფონის საშუალებით. მან განაცხადა, რომ შპს „ფრანსი“ მოხარული იქნებოდა გამხდარიყო შპს „ღვინის მარნის“ დისტრიბუტორი საფრანგეთში და რომ მათთვის მისაღები იყო პროფორმა ინვოისში მოცემული ყველა პირობა, ერთის გარდა. ფრანსუამ განაცხადა, რომ ღვინის პირველ შეკვეთაზე მათ დასჭირდებოდათ ფასდაკლება, რათა ბაზარზე პირველად შეტანილი პროდუქცია არ ყოფილიყო ძალიან ძვირადღირებული და მალე დაემკვიდრებინა ადგილი. მე პირადად ცოტა გამიკვირდა, რადგან მეგონა, რომ ფრანსუა ადეკვატურად აფასებდა ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობას. მიუხედავად ჩემი მოსაზრებისა, ვინაიდან დაინტერესებული ვიყავი სწრაფად განმევითარებინა ჩვენი ბიზნეს ურთიერთობა, დავპირდი მას, რომ ამ საკითხს მენეჯმენტთან განვიხილავდი.

ფრანსუასთვის გაგზავნილი პასუხი მოცემულია 15 იანვრის წერილში. ფრანსუამ ისევ დამირეკა ოფისში და დამთანხმდა ბაზრის კვლევასა და ფასის დადგენაზე. მან ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ შპს „ფრანს“-ს ხარისხის კონტროლის გრძელვადიანი პროცესი ჰქონდა. მე მას ვაცნობე 18 იანვრის წერილით, რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა პრობლემას.

როგორც 2014 წლის 18 იანვრის წერილში აღვნიშნე, მე ვიყავი აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ ჩვენ შორის შედგა როგორც დისტრიბუციის ხელშეკრულება, ასევე პირველი ნასყიდობის ხელშეკრულება. წერილის შესაბამისად, მე უმალვე ვაცნობე ყველა დაინტერესებულ მხარეს დისტრიბუტორის შერჩევის შესახებ და უარი ვუთხარი ყველა პოტენციურ დისტრიბუტორს თანამშრომლობაზე, ნეტავ არ მეთქვა.

გულწრფელად რომ გითხრათ, იანვარში სხვა ბევრი საქმით ვიყავი დაკავებული. შესაბამისად, კარგად ვერ მივადევნე თვალ-ყური მოვლენებს. თუმცა თებერვლის დასაწყისში ჩემმა ბუღალტერმა, ანა განგაშიძემ მაცნობა, რომ შპს „ფრანს“-ს არ გადმოურიცხავს ავანსი, რომელიც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით. მე შოკირებული ვიყავი ფრანსუას პასუხით, რაც ჩანს კიდეც ჩემი 2014 წლის 5 თებერვლის წერილში.

გიორგი ღვინიაშვილი

მოსარჩელე: შპს „ღვინის მარანი“

მოპასუხე: შპს „ფრანსი“

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის/დამოუკიდებლობის დადასტურება

გვარი: _____ბახტაძე_____ სახელი: ___ისიდორე_____

თანხმობა

[X] თანახმა ვარ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნცია ამ საქმის განხილვაში, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (,,ცენტრი") საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. ვაკეთებ რა ამ განცხადებას, ვადასტურებ, რომ გავეცანი ,,საარბიტრაჟო წესებს" და ცენტრის არბიტრთა ხარჯების ანაზღაურების ინსტრუქციას და თანახმა ვარ, რომ ჩემი ჰონორარი და ყველა ხარჯი განსაზღვრული იყოს ,,საარბიტრაჟო წესებით" (,,საარბიტრაჟო წესების" დანართი I მუხლი 3) და ზემოაღნიშნული ინსტრუქციით. ამასთანავე, ვადასტურებ, რომ არბიტრის ფუნციის შესრულებისას, ჩემს მოვალეობებს შევასრულებ პატიოსნად, სამართლიანად და დროის იმ პერიოდში რაც განსაზღვრულია ,,საარბიტრაჟო წესებით".

უარი

[ ] უარს ვაცხადებ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნცია ამ საქმის განხილვაში.

მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება

X მე ვარ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. ჩემი ცოდნით და ღრმა რწმენით, არ არსებობს წარსულში, აწმყოში ან უახლოეს მომავალში ფაქტები და/ან გარემოებები, რომლებმაც, მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ჩემი მიუკერძოებლობა და/ან დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარის თვალში და რომლებიც შეიძლება საჭიროებენდნენ გამხელას.
როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს გარემოება, რომელიც გამოიწვევს ჩემს, როგორც ამ საქმეზე დანიშნული არბიტრის აცილებას ,,საარბიტრაჟო წესების" მე-17 მუხლის შესაბამისად.

X მე ვარ მიუკერძოვებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს გარემოება, რომელიც გამოიწვევს ჩემს, როგორც ამ საქმეზე დანიშნული არბიტრის აცილებას, ,,საარბიტრაჟო წესების" მე-17 მუხლის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, მსურს გავამხილო ფაქტები დანართის სახით (დაურთეთ ცალკე ფურცელი), რომლებმაც, მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ჩემი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარეს თვალში.

ქ. თბილისი, საქართველო
1 სექტემბერი, 2014

ადგილი და თარიღი

ი. ბახტაძე
ხელმოწერა

პასუხი საარბიტრაჟო განაცხადთან დაკავშირებით

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი

შპს „ღვინის მარანი“
/„მოსარჩელე“/

შპს „ფრანს“-ის
/„მოპასუხე“/

წინააღმდეგ

წინამდებარე განცხადებით, შპს „ფრანსი“ პასუხობს შპს „ღვინის მარანის“ მიერ 2014 წლის 1 სექტემბერს წარდგენილ საარბიტრაჟო განაცხადს.

შპს „ფრანსი“ აქვე აცხადებს, რომ წინამდებარე დოკუმენტის წარდგენა და არბიტრის დანიშვნა საარბიტრაჟო წესების მე-13 მუხლის შესაბამისად, არ უნდა განიხილებოდეს, როგორც შპს „ფრანსის“ მიერ წინამდებარე ტრიბუნალის იურისდიქციის აღირება.

მოპასუხე აცხადებს, რომ:

- საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ აქვს იურისდიქცია განიხილოს დავა.
- მოსარჩელეს და მოპასუხეს შორის არ გაფორმებულა ნასყიდობის ხელშეკრულება ღვინის ნასყიდობასთან დაკავშირებით.

VI. <u>მოთხოვნები</u>

1. მოპასუხე ითხოვს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:
   - ტრიბუნალს არ აქვს დავის განხილვისათვის საჭირო იურისდიქცია; და
   - მოპასუხემ არ გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება მოსარჩელესთან.
2. შესაბამისად, მოპასუხე სთხოვს ტრიბუნალს დააკისროს მოსარჩელეს:

- საარბიტრაჟო პროცედურასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. მოპასუხე, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დადგენილ ვადაში, წარმოადგენს საარბიტრაჟო შესაგებელს.

ჩვენება #2

[თარგმანი ფრანგული ენიდან]

ფრანსუა ტერსენი

მე, ფრანსუა ტერსენი, ვარ შპს „ფრანს“-ის მენეჯერი. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია სწორია და მთლიანად ასახავს ჩემს კომპანიასა და შპს „ღვინის მარანს“ შორის 2014 წლის იანვარსა და თებერვალში განვითარებულ მოვლენებს.

2014 წლის 11-12 იანვარს მე პირველად ვესტუმრე საქართველოს, კერძოდ კი სიღნაღს, სადაც ტარდებოდა ღვინის ფესტივალი. ფესტივალზე გავიცანი მუსიე გიორგი ღვინიაშვილი, რომელიც წარმოადგენდა შპს „ღვინის მარანს“. მე მოვახსენე ბატონ გიორგის, რომ ჩვენ ვეძებდით ქართულ კომპანიას, რომლის ღვინის გატანასაც შევძლებდით საფრანგეთში. რა თქმა უნდა, აღნიშნული საუბრები მხოლოდ ინფორმაციის გაცვლის ხასიათს ატარებდა. ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ ბიზნეს შესაძლებლობებზე, მაგრამ არ შევთანხმებულვართ.

2014 წლის 14 იანვარს მე მივიღე წერილი ბატონი ღვინიაშვილისგან, რომელშიც ის გამოხატავდა თანამშრომლობის სურვილს. მე ვესაუბრე ჩემს მენეჯმენტს ამ შესაძლებლობის შესახებ და ჩვენ კვლავაც დაინტერესებულნი ვიყავით ახალი ბაზრის ათვისებით. თუმცა, ჩვენ ასევე სიფრთხილით ვუდგებოდით ახალი რისკების აღებას, ვინაიდან ჩვენს კომპანიას და უკრაინულ კომპანიებს, რომლებიც ერთ ჯგუფს ვეკუთვნით, გვქონდა გარკვეული ფინანსური პრობლემები.

ფაქსის მიღებიდან მალევე, მე დავუკავშირდი გიორგის და ავუხსენი, რომ ჩვენ გვინდოდა ვყოფილიყავით ექსკლუზიური დისტრიბუტორი და მოგვწონდა მათთან თანამშრომლობის იდეა. მე ასევე ვუთხარი, რომ პროდუქციის შერჩევა და ოდენობა მისაღები იყო, და ზოგად პირობებზეც არ გვქონდა პრობლემა, მათ შორის, ავანსის მოჭრილ ოდენობაზე. ჩვენი აზრით, ახალი ბაზრის ათვისებას დასჭირდებოდა კარგად დაგეგმილი მარკეტინგი და გათვლილი ფასები. მე ავუხსენი მას, რომ შპს „ფრანსი“ ვერ დათანხმდებოდა ნასყიდობას 30%-იანი ფასდაკლების გარეშე. როგორც შევატყვე, გიორგის არ ესიამოვნა ჩვენი ეს შეთავაზება, თუმცა იგი დამპირდა, რომ მენეჯმენტს დაეკითხებოდა ამ საკითხზე. მისი რეაქციიდან გამომდინარე, დიდად იმედი აღარ მქონდა, რომ კიდევ დამიკავშირდებოდა.

თუმცა, ვუალა! 15 იანვარს გიორგიმ კვლავ მომწერა. ამ წერილით ბატონი ღვინიაშვილი მთავაზობდა გადაგვედო ფასის დადგენის საკითხი, იმ დრომდე, სანამ

არ შევისწავლიდით ბაზარს. სიმართლე გითხრათ, ძალიან სკეპტიკურად ვუყურებდი ამ საკითხს, მაგრამ ჩემი აზრით ნაკლებად სარისკო და გონივრული შეთავაზება იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, მე არ მომიწევდა არანაირი ვალდებულების აღება ფასზე შეთანხმებამდე და მხარეები გაიყოფდნენ ბაზრის კვლევის ხარჯებს, რაც სამართლიანად მეჩვენებოდა. ამიტომაც, მე დავუკავშირდი ბატონ გიორგის და მოვიწონე მისი გეგმა. მე ასევე წამოვწიე ერთი საკითხი. კერძოდ, ჩვენს კომპანიას აქვს პროდუქციის შემოწმების გრძელვადიანი პროცესი და მაინტერესებდა ეს რაიმე პრობლემას ხომ არ შექმნიდა. გიორგიმ მითხრა, რომ გაარკვევდა ამ საკითხს და დამიკავშირდებოდა. ჩვენც ამით დავასრულეთ საუბარი.

მე არ ვიმყოფებოდი ოფისში 18 იანვარს და არ მინახავს გიორგის წერილი. წერილი, როცა ვნახე, ჩვენი მენეჯმენტი უკვე განიხილავდა ფინანსურ პრობლემებთან გამკლავების საკითხს. მე ასევე ვარ კომპანიის საერთაშორისო მენეჯმენტის საბჭოს წევრი. შესაძლოა არც თუ ისე ყურადღებით წავიკითხე 18 იანვრის წერილი, კიდევ მქონდა იმედი, რომ შევძლებდით შპს „ღვინის მარანთან“ თანამშრომლობას.

ოლალა! ყველაფერი გაუარესდა შემდეგი კვირის განმავლობაში. როცა გიორგის შემდეგი ფაქსი მომივიდა, უკვე ვიცოდი, რომ ფინანსურად ვერ შევძლებდით ხელშეკრულების დადებას. სწორედ ეს ავხსენი 2014 წლის 5 თებერვლის წერილში. დანარჩენი ინფორმაცია მოცემულია ჩვენს შორის თებერვალში წარმოებულ მიმოწერაში.

ფრანსუა ტერსენი

[თარგმანი ფრანგული ენიდან ქართულ ენაზე შესრულებულია ჟან ჟაკ რუსიაშვილის მიერ და სწორია].

მოსარჩელე: შპს „ღვინის მარანი“

მოპასუხე: შპს „ფრანსი“

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის/დამოუკიდებლობის დადასტურება

გვარი: _____საძაგლიშვილი_____ სახელი: ___ირინე_____

თანხმობა

[X] თანახმა ვარ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნცია ამ საქმის განხილვაში, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (,,ცენტრი") საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. ვაკეთებ რა ამ განცხადებას, ვადასტურებ, რომ გავეცანი ,,საარბიტრაჟო წესებს" და ცენტრის არბიტრთა ხარჯების ანაზღაურების ინსტრუქციას და თანახმა ვარ, რომ ჩემი ჰონორარი და ყველა ხარჯი განსაზღვრული იყოს ,, საარბიტრაჟო წესებით" (,,საარბიტრაჟო წესების" დანართი I მუხლი 3) და ზემოაღნიშნული ინსტრუქციით. ამასთანავე, ვადასტურებ, რომ არბიტრის ფუნციის შესრულებისას, ჩემს მოვალეობებს შევასრულებ პატიოსნად, სამართლიანად და დროის იმ პერიოდში რაც განსაზღვრულია ,,საარბიტრაჟო წესებით".

უარი

[ ] უარს ვაცხადებ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნცია ამ საქმის განხილვაში.

მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება

X მე ვარ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. ჩემი ცოდნით და ღრმა რწმენით, არ არსებობს წარსულში, აწმყოში ან უახლოეს მომავალში ფაქტები და/ან გარემოებები, რომლებმაც, მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ჩემი მიუკერძოებლობა და/ან დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარის თვალში და რომლებიც შეიძლება საჭიროებენდნენ გამხელას.
როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს გარემოება, რომელიც გამოიწვევს ჩემს, როგორც ამ საქმეზე დანიშნული არბიტრის აცილებას ,,საარბიტრაჟო წესების" მე-17 მუხლის შესაბამისად.

X მე ვარ მიუკერძოვებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს გარემოება, რომელიც გამოიწვევს ჩემს, როგორც ამ საქმეზე დანიშნული არბიტრის აცილებას, ,,საარბიტრაჟო წესების" მე-17 მუხლის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, მსურს გავამხილო ფაქტები დანართის სახით (დაურთეთ ცალკე ფურცელი), რომლებმაც, მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ჩემი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარეს თვალში.

ქ. თბილისი, საქართველო
15 სექტემბერი, 2014

ადგილი და თარიღი

ი. საძაგლიშვილი

ხელმოწერა

გადაწყვეტილება

საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე

ქ. თბილისი 19 სექტემბერი 2014

საარბიტრაჟო საქმე N:1

მოსარჩელე: შპს „ღვინის მარანი“

მოპასუხე: შპს „ფრანსი“

ჩვენ, ისიდორე ბახტაძე და ირინე საძაგლიშვილი, ვმოქმედებთ რა, როგორც საარბიტრაჟო დავაში მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრები, ცენტრის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარედ ვნიშნავთ ქ-ნ შორენა შარიას.

ი. ბახტაძე */ხელმოწერილია/*

ი. საძაგლიშვილი */ხელმოწერილია/*

დადასტურებულია

საქართველოს საერთაშორისო
საარბიტრაჟო ცენტრის
საარბიტრაჟო საბჭოს მიერ

20/09/2014

მოსარჩელე: შპს „ღვინის მარანი“

მოპასუხე: შპს „ფრანსი“

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის/დამოუკიდებლობის დადასტურება

გვარი: _____შარია_____ სახელი: ___შორენა_____

თანხმობა

[X] თანახმა ვარ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნცია ამ საქმის განხილვაში, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (,,ცენტრი") საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. ვაკეთებ რა ამ განცხადებას, ვადასტურებ, რომ გავეცანი ,,საარბიტრაჟო წესებს" და ცენტრის არბიტრთა ხარჯების ანაზღაურების ინსტრუქციას და თანახმა ვარ, რომ ჩემი ჰონორარი და ყველა ხარჯი განსაზღვრული იყოს ,, საარბიტრაჟო წესებით" (,,საარბიტრაჟო წესების" დანართი I მუხლი 3) და ზემოაღნიშნული ინსტრუქციით. ამასთანავე, ვადასტურებ, რომ არბიტრის ფუნციის შესრულებისას, ჩემს მოვალეობებს შევასრულებ პატიოსნად, სამართლიანად და დროის იმ პერიოდში რაც განსაზღვრულია ,,საარბიტრაჟო წესებით".

უარი

[ ] უარს ვაცხადებ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნცია ამ საქმის განხილვაში.

მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება

[X] მე ვარ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. ჩემი ცოდნით და ღრმა რწმენით, არ არსებობს წარსულში, აწმყოში ან უახლოეს მომავალში ფაქტები და/ან გარემოებები, რომლებმაც, მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ჩემი მიუკერძოებლობა და/ან დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარის თვალში და რომლებიც შეიძლება საჭიროებენდნენ გამხელას.
როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს გარემოება, რომელიც გამოიწვევს ჩემს, როგორც ამ საქმეზე დანიშნული არბიტრის აცილებას ,,საარბიტრაჟო წესების" მე-17 მუხლის შესაბამისად.

[X] მე ვარ მიუკერძოვებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს გარემოება, რომელიც გამოიწვევს ჩემს, როგორც ამ საქმეზე დანიშნული არბიტრის აცილებას, ,,საარბიტრაჟო წესების" მე-17 მუხლის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, მსურს გავამხილო ფაქტები დანართის სახით (დაურთეთ ცალკე ფურცელი), რომლებმაც, მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ჩემი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარეს თვალში.

ქ. თბილისი, საქართველო
20 სექტემბერი, 2014

ადგილი და თარიღი

შ. შარია

ხელმოწერა

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის
სამდივნოს
მოპასუხე, შპს "ფრანს"-ის

22 სექტემბერი 2014

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ თქვენს წარმოებაშია საქმე #1 შპს "ღვინის მარანი"-ს საარბიტრაჟო სარჩელზე შპს "ფრანს"-ის მიმართ. საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, მხარეთა მიერ დანიშნულმა არბიტრებმა დანიშნეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე - შორენა შარია.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქ-ნი შარია არის საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე იურიდიული კომპანიის "მორჩაძე & პარტნიორები"-ს პარტნიორი. აღნიშნული იურიდიული კომპანია, კერძოდ კი მისი ერთ-ერთი პარტნიორი - ბ-ნი მამუკა მორჩაძე წლების განმავლობაში უწევდა იურიდიულ კონსულტაციას შპს "ღვინის მარანს". მიუხედავად იმისა, რომ თავად ქ-ნ შარიას არასოდეს უმუშავია მოსარჩელის საქმეებზე, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ მოსარჩელე "მორჩაძე & პარტნიორები"-ს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კლიენტია.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, "მორჩაძე & პარტნიორებს" ბოლო 8 თვის განმავლობაში არ გაუწევიათ იურიდიული მომსახურება შპს "ღვინის მარნისთვის". თუმცაღა, მოსარჩელე წლების განმავლობაში იყო ამ იურიდიული კომპანიის შემოსავლის უმთავრესი წყარო და არ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მათი თანამშრომლობა მომავალშიც არ გაგრძელდება. აქედან გამომდინარე, გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ ქ-ნი შარია არ იქნება დაინტერესებული მოსარჩელის განაწყენებით. ის ფაქტი, რომ ქ-ნ შარიას არ განუცხადებია შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ადასტურებს ჩვენს ეჭვებს.

შესაბამისად, ტრიბუნალის ახლანდელი შემადგენლობა, არ აკმაყოფილებს ეთიკის კოდექსით დადგენილ სტანდარტებს და უნდა შეიცვალოს.

ფრანსუა ტერსენი */ხელმოწერილია/*

* საარბიტრაჟო საბჭოს გადაწყვეტილებით, ქ-ნ შორენა შარიას აცილების საკითხი უპირველესად განიხილება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ. მხარეები უფლებამოსილნი არიან წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალს.